საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№1419 2016 წლის 18 ივლისი ქ. თბილისი

„შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი (ანგისა)-ახალციხის საავტომობილო გზის ხულო-ზარზმის მონაკვეთის (ლოტი I კმ 80-კმ 110 (ხულო-გოდერძის უღელტეხილი)) მშენებლობის განხორციელების მიზნით საპროექტო დოკუმენტაციის განახლების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 ივნისის №1207 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი (ანგისა)-ახალციხის საავტომობილო გზის ხულო-ზარზმის მონაკვეთის (ლოტი I კმ 80-კმ 110 (ხულო-გოდერძის უღელტეხილი)) მშენებლობის განხორციელების მიზნით საპროექტო დოკუმენტაციის განახლების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 ივნისის №1207 განკარგულებაში (შემდგომში - განკარგულება) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი (ანგისა)-ახალციხის საავტომობილო გზის ხულო-ზარზმის მონაკვეთის (ლოტი I კმ 80-კმ 110 (ხულო-გოდერძის უღელტეხილი) და ლოტი II კმ 110-კმ 129 (გოდერძის

უღელტეხილი ზარზმის მონაკვეთი)) მშენებლობის განხორციელების მიზნით, საპროექტო დოკუმენტაციის განახლების თაობაზე";

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი (ანგისა)-ახალციხის საავტომობილო გზის ხულო-ზარზმის მონაკვეთის (ლოტი I კმ 80-კმ 110 (ხულო-გოდერძის უღელტეხილი) და ლოტი II კმ 110-კმ 129 (გოდერძის უღელტეხილი ზარზმის მონაკვეთი)) მშენებლობისათვის 2013 წელს შედგენილია საპროექტო დოკუმენტაცია, რომელიც საჭიროებს განახლებას.";

გ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ განკარგულების მე-2 პუნქტით განსაზღვრული მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა დეპარტამენტმა განახორციელოს „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით მისთვის გამოყოფილი „გზების მშენებლობისა და მოვლა-შენახვის" მუხლით (პროგრამული კოდი: 25 02 02) განსაზღვრული ასიგნებებიდან - ქვეპროგრამა „ბათუმი (ანგისა)-ახალციხის საავტომობილო გზის (ლოტი I კმ 80-კმ 110 (ხულო-გოდერძის უღელტეხილი) და ლოტი II კმ 110-კმ 129 (გოდერძის უღელტეხილი ზარზმის მონაკვეთი)) რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია.".

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**